მაყურებელი მზად იყო ეს ამბავი შემთხვევითობისათვის მიეწერა, რომ “დინამოს” მცველებმა ახალი შეცდომა დაუშვეს – ღოღობერიძე მოედნის სიღრმეში დარჩა, ძიაპშპა მარჯვენა ფრთაზე დაყოვნდა და სიმონიანმა ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში – 1:0.

გაიტანეს რა პირველი გოლი, მოსკოველებმა ყოველგვარი დაზვერვისა და წინასწარი ძიების გარეშე დაიწყეს შეტევა. ეს იყო უმაღლესი ტექნიკის მქონე მოთამაშეთაგან შემდგარი პირველხარისხოვანი გუნდის შეტევა. დიდი ხნის მანძილზე მინდორზე თითქმის მხოლოდ სპარტაკელები იყვნენ. ნეტომ, პარამონოვმა და სალნიკოვმა სავსებით დაიპყრეს მინდვრის ცენტრი. თავდამსხმელები გაიშალნენ საჯარიმო მოედნის მისადგომებთან და მშვიდად, ზუსტად, შეუცდომლად ხლართავდნენ ურთულეს კომბინაციებს.

მე–15 წუთზე ტატუშინი გაექცა ხოჭოლავას, მიაწოდა ცენტრში, სადაც სიმონიანი კვლავ უყურადღებოდ დატოვა ძიაპშპამ. სიმონიანმა არ დააყოვნა ესარგებლა თავისი სოხუმელი მეგობრის “თავაზიანობით” და მეორე ბურთი გაიტანა.

ინიციატივა, რომელიც მოსკოველებს ეპყრათ ხელთ, თანდათან გადავიდა აბსოლუტურ უპირატესობაში. მათ ტაიმის ბოლომდე თითქმის ცალ კარში ითამაშეს და ანგარიში სამამდე გაზარდეს – ტატუშინმა 16 მეტრიდან უძლიერესი ბურთი გაგზავნა კარში.

სპარტაკელებმა მეორე ტაიმიც “გროსმაისტერულ” სტილში დაიწყეს, მაგრამ თბილისელები უკვე იმ არეულ გუნდს აღარ წარმოადგენდნენ. მოსკოველთა დაძლევა შეიძლებოდა მხოლოდ მაღალ ტემპში და მათთვის მინდვრის შუაგულის აწყობილი მექანიზმის მოშლით. “სპარტაკი” ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა თამაში სასურველ ვითარებაში წარემართა, მაგრამ დინამოელთა სწრაფი, თავბრუდამხვევი იერიშები ერთმანეთს მისდევდა. მე–10 წუთზე ხასაიამ კარგად მიაწოდა კუთხური და კალოევმა გაქვითა პირველი ბურთი – 1:3.

თამაში გამოცოცხლდა. ახლა უკვე მოსკოველთა დაცვა იყო მიჯაჭვული კართან. ორჯერ ზედ გოლამდე მივიდა ჭკუასელი, ერთხელ უიმედო ბურთი გამოიტანა კარიდან ტუჩკუსმა. ამის შემდეგ კალოევის მკვეთრი დარტყმა ძელს მოხვდა.

მე–20 წუთზე ოგონკოვმა საჯარიმო მოედანზე “მოცელა” ჭკუასელი. მსაჯმა “დინამოს” 11–მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება მისცა, რომელიც მისმა კაპიტანმა ა. ღოღობერიძემ ვერ გამოიყენა. საინტერესოა, როდემდე უნდა აფუჭოს თბილისის “დინამომ” პენალტები, რატომ არ მიიღებს მხედველობაში გუნდის ხელმძღვანელობა და თვით ღოღობერიძეც შარშანდელ მწარე გაკვეთილებს!

ასეთ დროს თერთმეტმეტრიანის დაკარგვამ შეიძლება მორალურად გატეხოს გუნდი. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. უკვე ორი წუთის შემდეგ ჭკუასელი ბრწყინვალედ გავიდა მცველებს შორის და ძლიერი დარტყმით მეორე ბურთი გაიტანა.

თბილისელებს ბოლო წუთებამდე არ შეუნელებიათ იერიშები. გუნდი მატჩის დასასრულამდე იბრძოდა ტემპიანად, აგრესიულად, კარგი კომბინაციებით, მაგრამ პირველ ტაიმში დაკარგულის ანაზღაურება შეუძლებელი აღმოჩნდა. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვა “სპარტაკმა”.

დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა სპარტაკელთა სასარგებლოდ – 2:0.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 8 აპრილი, 1956 წ.